# ცნობის ფურცელი

I წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 ხუთშაბათი, 1 მარტი № 1396

...ფასი დირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ...ებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.
...ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ...ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო...ბაში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, 11 საათიდან 1-ლ საათამდე.
რედაქციის კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“. ტელეფონი № 372.



## „მოამბე“ და „ცნობის ფურცელი“

...ერთად ღირს წელიწადში: ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის 11 მან., ქალაქ...ლისის მცხოვრებთათვის 10 მანეთი. ფასის განაწილება: ხელის მოწერის ...ს 6 მან.—ქალაქ გარეთ ხელის მომწერთათვის, ტფილისელ ხელის მომ...თათვის 5 მანეთი. შემდეგ აპრილის 1-ლს 3 მან. და ენკენისთვის 1-ლს ...ნეთი.

„ცნობის ფურცელი“ ცალკე—წელიწადში 6 მან., ნახევარ წე...ადში 4 მან. და თვეში 75 კაპ.

ტფილისის ვერძ.
### ამკურნალო
...ნალის მიხეილ გედევანიშვილისა.
...ოთვებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,
დილით:
...ი. ჭიჭინაძე — ბილის სნეულებანი 8 — ...საათამდე.
...ხეილ ა. გედევანიშვილი — ნერვების და ...ობა ელექტრონით—9—10 ს.
...ა მელინი—ყურის, ყელის და ცხვირი— 10—11 საათამდე.
... ვ. ახალშენიშვილი—ბილის სნეულებანი ...0—2 საათამდე.
... ნ. მატილოვი—თვალის 11—12 ს.
...იმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვების 11—12 ს.
... ა. გედევანიშვილი—ნერვების და შინა-...—12—1 საათამდე.
... დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო— 12½ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.
... დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისის, კანის და ...რდესი—1½—2 საათამდე.
... ი. ბეზირგანოვი—შინაგანი და ბავშვების ...2 საათამდე.
საღამოთი:
... ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი ...—6 საათამდე.
... ა. ბელოოგლოვი.—შინაგანი (სტომაქის ...მეოთობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლე...—5—6 საათზე.
...ამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.
...ასი რჩევის და დარიგების 50 კ.; ოპე...ები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე და ...ეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფასოა.
...დრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი ...ანიშვილის, № 21 (ვარანცოვის ძეგლის ...დაპირ). ტელეფონი № 274.
...დირექტორი სამკურნალოსი
...) მიხეილ გედევანიშვილი

თხზულება
### ...რ. ერისთავისა
I ტომი
ფასი სამი აბაზი.
...იყიდება ქართველთა ამხანაგობის კოისკ..., ლორის მელიქოვის ქუჩ., ქვაშვეთის ...კლესიის პირდაპირ.
...ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Грузинское ...здательское Товарищество.


### მთავრობის განკარგულებანი

ტფილისის საარტილერიო საწყობის კაპიტანი ...ცვლიშვილი გადაყვანილ იქმნა კავკასიის ...არტილერიო სარეზერვო კამანდაში.

### პანაშვიდები რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად.

გუშინ ტფილისში, შუადღის 12 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, მორაპნის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავ. ს. დ. წერეთლის თაოსნობით, გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულის პოეტის რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი და მრავალი საზოგადოება.

ჩვენ გვწერენ:

ქ. სიღნაღიდან: „25 თებერვალს სიღნაღის მთელმა ქართველობამ თავი მოიყარა ერთად და წირვა და პანაშვიდი გარდაიხადეს გარდაცვალებულის საყვარელ მგოსნის თავ. რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად. მღ. დეკანოზმა მამა ბეგიევმა და მიხ. ნასიძემ მოკლეთ გაიხსენიეს განსვენებულის მოღვაწეობა. შემდეგ სიტყვა წაიკითხა გ. შოშიაშვილმა, რომელმაც უფრო ვრცლად გააცნო საზოგადოებას გარდაცვალებულის მოღვაწეობა. წირვის შემდეგ სამძიმრის დეპეშა გაუგზავნეს გარდაცვალებულის ნათესავთ და აქვე დაიწყეს ფულის შეგროვება. იქვე შეგროვდა 22 მ., ხელის მოწერა და ფულის შეკრება ისევ წარმოებს. ეს ფული გაიგზავნება ტფილისში რაიმე სასარგებლო საქმის მოსახმარებლად განსვენებულის სახელით“.

დ. აბაშიდან: „კვირას, 25 თებერვალს, განსვენებულის თავ. რაფიელ ერისთავის დაკრძალვის დღეს, მთავარ-ანგელოზის ადგილობრივ ეკლესიაში, მრავალი ხალხის თანადასწრებით, გადახდილ იქმნა პანაშვიდი დაუვიწყარის პოეტის სულის მოსახსენებლად“.

სარაკამიშიდან (დეპეშით): „სარაკამიშში მყოფი ქართველები ვუერთდებით ჩვენის ქვეყნის საერთო გლოვას; გადავიხადეთ პანაშვიდი განსვენებულის დაუვიწყარის პოეტის რაფიელ ერისთავის სულის მოსახსენებლად. ართმელაძე“.

## დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

27 თებერვალი.

**პეტერბურგი.** სახალხო განათლების მინისტრის ბოგოლეპოვის ავადმყოფობის ბიულეტენი: „ღამე ცოტა და ცუდად ეძინა; საღამოს სიცხე ჰქონდა—38,9, დილას—38,2, მაჯა—98, სუნთქვა—16. კისრის მარჯვენა მხარეზე გაუჭრეს სიმსივნე, რომლიდანაც გამოვიდა ერთი კოვზი ჩირქი. ყლაპვა და სუნთქვა უწინდებურად თავისუფლად შეუძლია. საზოგადოდ გვარიანად არის“.

27 თებერვალს პაჟთა კორპუსმა გადაიხადა თავისი დღესასწაული, რომელსაც დაესწრნენ დიდი მთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე და დიდი მთავრინა ელისაბედ მავრიკის ასული.

**მიუნხენი.** გუშინდელ სადღესასწაულო სადილზე, რომელიც გაიმართა ბავარიის პრინც-რეგენტის პატივსაცემლად, რადგანაც 80 წელიწადი შეუსრულდა, პრინცმა ლიუდვიგმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ პრინცი-რეგენტი მოწადინებულია ემსახუროს ბავარიის ინტერესებს და ამასთანავე სრული თანხმობა იქონიოს იმპერატორთან, გერმანიის სხვა მოკავშირე სახელმწიფოებთან და თავისუფალ ქალაქებთან. პრინცმა განსაკუთრებით მოიხსენია ის, რომ ბავარიის წარმომადგენელნი უცხო ქვეყნებში ყოველთვის თანხმობით მოქმედებენ გერმანიის იმპერიის წარმომადგენლებთან; მით უმეტეს მადლობის ღირსია იმპერატორი, რომ იგი მეცადინეობს მშვიდობიანობა დაიცვას თავის ქვეყნისათვის და მთელ მსოფლიოსათვისაც და საჭირო მფარველობა გაუწიოს თავის ქვეშევრდომთ, რაც მტკიცდება ჩინეთში ექსპედიციის გაგზავნით, რომლის ჩქარი და სასარგებლო დასასრული ყველასთვის სასურველია.

**ბერლინი.** იმპერატორის ავადმყოფობის ბიულეტენი: „იმპერატორის ჭრილობა თან და თან დაუბრკოლებლივ რჩება; სიმსივნე დღითი დღე კლებულობს“.

**მიუნხენი.** ავსტრიის იმპერატორი მოვიდა აქ; სადგურზე მას მიეგებნენ პრინცი-რეგენტი, პრინცი ლეოპოლდი მეუღლითურთ.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

## ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ 15 თებერვალს ლონდონში სამხრეთ-აფრიკის ზავის კომიტეტს ჰქონია სხდომა ბ. კორტნეის თავჯდომარეობით. ამ კომიტეტს ერთ ხმად მიუღია თავჯდომარის მიერ შედგენილი ამნაირი რეზოლუცია:

«თუ უნდათ, რომ ბურებმა და ინგლისელებმა მომავალში მშვიდობიანად და ერთმანერთთან შეთანხმებით იცხოვრონ, ჩვენი მთავრობა არ უნდა სთხოვდეს ბურებს სრულს, ულაპარაკოდ დამორჩილებას. ამის გამო ყოველ ნაირად უნდა ვეცადნეთ, რომ რაც კი შეიძლება მალე აღვადგინოთ მშვიდობიანობა და თანხმობა სამხრეთ-აფრიკაში და ამასთანავე დონისძიებაც უნდა მივიღოთ, რომ მომავალში აღარ გამოვცადოთ ის შიში და საფრთხე, რომელიც ჩვენ ეხლა გამოვიარეთ».

✿ ლონდონიდან სწერენ ერთ რუსულ გაზეთს: «როცა აქ ამბავი მოვიდა, რომ ბოტამ იარაღი აიყარა და დაემორჩილდა კიტჩენერსაო, მთელმა ლონდონმა დაიჯერა ეს ამბავი. ხოლო ყველაზე ერთნაირად არ იმოქმედა ამ ცნობამ. თუ კონსერვატორები და იმპერიალისტები სიხარულისგან ცაში აღიოდნენ, ბურების მომხრე ინგლისელებს არც თუ ძალიან გაეხარებიათ; ირლანდიელებს ხომ ისე გულში მოხვდათ, თითქო იმათი საკუთარი სარდალი დამარცხებულიყვეს. ყველას კი მტკიცეთ სჯეროდა ეს ხმა; ბევრი კიდეც ლაპარაკობდა, თუ რა დღეს, რა საათს და ან რანაირად მოხდა ეს ამბავი. ამტკიცებდნენ, რომ დილით სამხედრო სამინისტრომ ცნობები მიიღო შესახებ ბოტას დამორჩილებისა; მაგრამ შუადღის დროს საპოგადოებამ გაიგო, რომ არავითარი ოფიციალური დეპეშა არ მიუღია სამხედრო სამინისტროსა. შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ ეს ცნობა გარეშე საქმეთა სამინისტრომ მიიღო; მაგრამ მალე ეს ხმაც ტყუილი გამოდგა, ასასრულ ხალხი ლაპარაკობდა, რომ, ალბათ, ახალშენთა სამინისტროს მოუვიდოდა ოფიციალური ცნობა მაგის შესახებაო.

რაკი დაინახა, რომ ხალხი თითქმის აღელდა ამ ტყუილი ცნობის გამო, მთავრობამ საჭიროდ სცნა, პირველ მარჯვე შემთხვევაშივე უარ ეყო ეს ამაღელვებელი ხმა. ეს შემთხვევა მიეცა მთავრობას მაშინ, როდესაც პარლამენტში ერთი ლიბერალი დეპუტატი შეეკითხა სამხედრო მინისტრს ამ გავრცელებული ხმების გამო. მოგვყავს შინაარსი დაკითხვისა და პასუხისა:

«დეპუტატი დალციელი. მე მინდა ვიცოდე, ხომ არ შეუძლიან სამხედრო სამინისტროს განუმარტოს პალატას რაიმე ცნობა გენერალის ბოტას დამორჩილების შესახებ?

სამხედრო მინისტრი ბროდრიკი. ჩვენ მაგის შესახებ არავითარი ოფიციალური ცნობა არ მიგვიღია (ირლანდიელები იცინიან და გესლიანად იძახიან: «ძალიან კარგი! ძალიან კარგი!»)»

ამის შემდეგ აღტაცება და სიხარული ლონდონში გაჰქრა, ხოლო ირლანდიელებს გულზე დარდი მოუშვათ.

✿ ჩეხელი დეპუტატების კლუბმა, ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ ავსტრიის მთავრობასთან, გადასწყვიტა დროებით ხელი აიღოს თავის მტრულ მოქმედებაზე მთავრობის წინადადებათა წინააღმდეგ. ჩეხები არ დაუშლიან პარლამენტს განიხილოს კანონ-პროექტი ახალ ჯარის კაცთა და ეკონომიურ საკითხების შესახებ. ნამდვილად არავინ იცის, თუ რა ნაირად, რა პირობებით შეთანხმდნენ ჩეხები და მთავრობა, რადგანაც მთავრობა ჰმალავს ამ პირობებს, რომ ეხლავე პროტესტი არ გამოიწვიოს გერმანელების მხრივ; ხოლო გერმანელები ჰფიქრობენ, რომ ჩეხებისათვის მთავრობას არავითარი მნიშვნელოვანი დაპირება არ მიუციაო, მხოლოდ ჩეხიის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას დაჰპირდაო. გერმანელებს არა სჯერათ აგრეთვე, ვითომც მთავრობა თანახმა იყოს, რომ ჩეხური უნივერსიტეტი დაარსდეს მორავიაში, ქალ. ბრიუნში, რადგანაც ამ შემთხვევაში გერმანელები ისევ გადუდგებიან მთავრობას.

ჩეხიის კლუბმა შეატყობინა თავისი გადაწყვეტილება ჩეხიის ყველა დასებს; ბევრი მათგანი დასთანხმდა, მაგრამ უკიდურესი დასის წარმომადგენლებმა კლოფაჩმა და რატაიმ განაცხადეს, რომ 1897 წლის შემდეგ, როდესაც მთავრობამ ასე მოატყუა ჩეხებს, ამათ აღარა სწამთ მთავრობის დაპირებანი და ამისათვის ისინი არ აიღებენ ხელს მთავრობის წინააღმდეგობაზე. ჩეხიის გადაწყვეტილებამ მეორე დღის სხდომის დროსვე მოიტანა ნაყოფი.

სხდომის დაწყების დროს ჩეხმა მუშამ ზაზვორკამ ჩეხურად დაიწყო ლაპარაკი. თავჯდომარემ, ვიცე-პრეზიდენტმა პრადემ, შენიშვნა მისცა, რომ ბევრი ლაპარაკი არ შეიძლებაო და სულაც აღარ მისცა ლაპარაკის ნება. ჩეხი მუშა დეპუტატი ფრესლი ავარდა პრეზიდენტის ტრიბუნაზე და რაც იქ ქაღალდები ეწყო, სულ დაჭმუჭნა. ორი გერმანელი მიჰვარდა ფრესლს და

ხელი სტაცა. მღარობეხები არ მიეშვნენ ორესლს და ამიტომ პარლამენტი მალე დაწყნარდა და შეუდგა სამხედრო კანონის განხილვას. ჩეხელი რადიკალები ეცადნენ, რომ შფოთი მოეხდინათ და ხელი შეეშალათ მსჯელობისათვის, მაგრამ თითონ მღადობეხებმა გააჩუმეს ისინი. სხვა და სხვა დასის ორატორებმა სიტყვები წარმოსთქვეს; მღადობეხებმა პროექტის წინააღმდეგ ილაპარაკეს; იმათ გაახსენეს პარლამენტს, თუ რა უსამართლოდ ექცევა მთავრობა ჩეხის ერსა: ამის შემდეგ კამათები გათავდა და პროექტი სამხედრო კომისიას გადაეცა.

✿ პარიზში ვიღაცა საცოდავ დედაკაცს მოუპარავს ერთი მეპურის დუქანში 3 პატარა ორკაპეიკიანი პური. დედაკაცი დაატუსაღეს და ციხეში ჩასვეს. გამოძიებამდე ის მთელი 26 დღე ეოფილა სატუსაღოში. კანონი სრულს ნებას აძლევს გამომძიებელს, რომ ამნაირად მოიქცეს. მიუხედავად ამისა გამომძიებლის ამისთანა ქცევამ მთელი პარიზი აადელა. ამისთანა ქცევას სთვლიან უღვრად, უღმერთოდ; ესეთი ქცევა ეწინააღმდეგება ყოველ ადამიანურს გრძნობასა. ამ უღმრთო გამომძიებელს სასტიკად ჰკიცხავენ იმისთანა გაზეთებიც კი, როგორიც «ტან»-ი და «ფიგარო» არიან, რომლებიც ჩვეულებრივ თავიანთ მოვალეობად სთვლიან დაიცვან ყოველი მოხელე დემოკრატების განკიცხვისაგან. «ამ საცოდავ დედაკაცს,—ამბობენ ყველა მხრიდან,— სასამართლო სულ ბევრი, ბევრი რამდენიმე დღით დაპატიმრებას მიუსჯიდაო, თქვენ კი 26 დღე სული ამოგირთმევიათ ციხეშიო». იუსტიციის მინისტრმა გაჰკიცხა ეს უღმრთო გამომძიებელი და სასტიკად უბრძანა ყველა გამომძიებლებს, რომ რაც შეიძლება უფრო ადამიანურად და ლმობიერად მოექცნენ დამნაშავე პირებს. მაგრამ ამით არ დაკმაყოფილდნენ ბევრნი. დეპუტატმა კრიუპპიმ პალატაშიაც აღძრა ამაზე ლაპარაკი და კანონ-პროექტი შეიტანა იმის შესახებ, რომ ამას იქით გამომძიებელს აღარ შეეძლოს ხუთს დღეზე მეტი დაატუსაღოს გამოძიებამდე ის პირები, რომელთაც ჰბრალდება მოპარვა არა უმეტეს 25 ფრანკად ღირებულის ნივთებისა. საზოგადოება კი ამითიც არ კმაყოფილდება და თხოულობს, რომ ყველას, ვისაც კი დაუშავდება რამე გამომძიებლის უსამართლობისა, გულ-მავიწყობისა და წინ-დაუხედაობისაგან, ნება მიეცეს მოსთხოვოს ამ გამომძიებელს საზღაური ზარალისა და შეურაცხყოფისა.

✿ ამავე ადამიანობისა და სამართლიანობის სახელით პარიზელები ეხლა მეტად ბეჯითად თხოულობენ, რომ რაც შეიძლება მალე გათავებულ იქმნას ჩინეთის ომიც. იყო დრო, როდესაც ამ ომს ხალხი საჭიროდა სთვლიდა.—თუმცა სამწუხაროა, მაგრამ უამისობა არ იქნებაო,—ამბობდა ხალხი; ეხლა კი ყველა ჭკვათა მყოფელები სულ სხვანაირად უცქერიან ამ ომს. ეხლა ყველანი დარწმუნდნენ, რომ ჩინეთის ომი თითონ ევროპიელებმა გამოიწვიესო, სულ დიპლომატებისა, ვაჭრებისა და მისსიონერების ბრალიაო. ეხლა ყველამ ნამდვილად მტკიცედ იცის, რომ ჩინეთში მყოფი ევროპიელი ჯარები ისე მხეცურად იქცევიან, რომ ჰუნებიც არ მოქცეულან ისეო,—ერთხმად ჰმოწმობენ ინგლისური, ამერიკული, იტალიური და ფრანგული გაზეთების კორესპონდენტები; ამაზედ თითონ მხეცი ჯარის კაცები გულ უბრყვილოდ სწერენ თავიანთ ნათესავებს.

აი სწორედ ყველა ამ სიმხეცის ამბავი მეტად აფიქრებს და აღელვებს ფრანგებს; ამიტომ საზოგადოება თხოულობს, რომ ომი მალე გათავდეს არა მხოლოდ სამართლიანობისა და ადამიანობის გულისათვის, არამედ თვით საფრანგეთის სარგებლობის გულისათვისო. ფრანგები დიდი ხანია დარწმუნდნენ, რომ ბრძოლის ველზე დიდ-ხანს ყოფნა რყვნის და სხიდან ჰშლის როგორც ჯარის-კაცებს, ისე ოფიცრებსაც.

## ახალი ამბავი

✦ სამშაბათს, 27 თებერვალს, სხდომა ჰქონდა ქართულ დრამატიულ საზოგადოებასა და რამდენიმე გარეშე პირთ, რომელთაც განიხილეს კითხვა განსვენებულის რაფიელ ერისთავის სახელის პატივისაცემლად ლიტერატურულ და დრამატიულ საღამოს მოწყობის შესახებ. სხდომაზე გადაწყდა გაიმართოს კვირას, 18 მარტს, დილით, დრამატიულ საზოგადოების საგანგებო კრება, ხოლო საღამოს „დრამატიულ-ლიტერატურული საღამო“. დილით წაკითხულ იქნება განსვენებულის პოეტის ბიოგრაფია და წარმოთქმულ იქნება სიტყვები მის მოღვაწეობის შესახებ, ლექსები და სხვა. საღამოს დაიდგმება „ბიძიასთან გამოხუმრება“ და შემდეგ სასიმღერო-სალიტერატურო დივერტისმენტი ცოცხალის სურათებით განსვენებულის თხზულებებიდან. დილა უფასო იქნება, ხოლო საღამოდან შემოსავალი გადიდება რაფ. ერისთავის სახელობაზე დაარსებულ ფონდისათვის. დილა-საღამოს გამართვა მიენდო დრამატიულ საზოგადოების გამგეობასა და განსაკუთრებულ კომისიას, რომელთა წევრებად კრებამ დაასახელა: კნ. ნ. დ. ჩოლოყაშვილისა, ე. რ. გაბაშვილისა, ე. ს. თაყაიშვილი, პ. ი. უმიკაშვილი და გ. დ. ჟურული.

✦ საადგილ-მამულო გადასახადთა გამწერ საგუბერნიო საკრებულომ ოთხშაბათს, 21 თებერვალს, დაასრულა გადასახადების გაწერის პროექტის განხილვა ტფილისის მაზრისა. სულ ამ მაზრაში გაიწერა: საადგილ-მამულო გადასახადი 6168 მ. და საიჯარო 43.950 მანეთი.

✦ „კავკაზ.“-ს ატყობინებენ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს განზრახვა აქვს დააწესოს ტფილისში საფაბრიკო ინსპექცია. ეს განზრახვა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ტფილისში ბოლო ხანებში შესამჩნევად გამრავლდა ფაბრიკა-ქარხნებისა და მუშების რიცხვი; ამ ჟამად, მაგალითად, ტფილისში ითვლება 11,500 მუშა ყველა ქარხანა-ფაბრიკაში. უნდა მოველოდეთო, სწერს „კავკაზი“, რომ საფაბრიკო ინსპექციის დაწესების შემდეგ ნაკლებად მოხდება ხოლმე უთანხმოება ფაბრიკა-ქარხნების პატრონებისა და მუშებს შორის,—უთანხმოება, რომლის მიზეზია მუშაობის ცუდი პირობებიო“.

✦ პეტერბურგიდან ცნობა მოვიდა, რომ იქ გარდაცვლილა ტფილისის სამოსამართლო პალატის წევრი ბ. კარნოვიჩი, რომელიც დიდხანს მსახურებდა კავკასიაში სხვა და სხვა სასამართლო დაწესებულებებში და, ბოლოს, რამდენიმე წლის განმავლობაში იყო სამოსამართლო პალატის წევრად.

✦ რადგანაც ტფილისის სახლის პატრონებზე დიდძალი „ნედოიმკა“ მოგროვდა საქალაქო გარდასახადებისა, ქალაქის გამგეობამ მიჰმართა ადმინისტრაციას თხოვნით—მიიღოს სასტიკი ზომები ამ ფულის შესაკრებად.

ბაქოდან ჩვენ მივიღეთ შემდეგი დეპეშა: „ბაქოს ქართველნი მოსამსახურეები, შეწუხებულნი სახალხო პოეტის რაფიელ ერისთვის გარდაცვალებით, ვუერთდებით მთელის ჩვენის ქვეყნის მწუხარებასა და გლოვას“.

✦ როგორც საქართველოს საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს ცნობებიდან სჩანს, 1900 წლის განმავლობაში ტფილისში ყოფილა 30-მდე სამრევლო საეკკლესიო სკოლა, სადაც სწავლობდა სულ 1252 მოსწავლე, რომელთაგან 526 ყოფილა ქართველი, 580 რუსი, 104 სომეხი და 43 სხვა ეროვნებისა. ამ სკოლების შესანახად აღნიშნულს წელს საბჭოს დაუხარჯავს—12,000 მანეთი.

✦ მკითხველებმა იციან, რომ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაადგინა დაწესდეს გამგეობის საქმის მწარმოებლის თანამდებობა, რომლის ჯამაგირათაც უნდა გადადებულ იქმნეს 1500 მანეთი. ქალაქის საბჭომ უკანასკნელს თავის სხდომაზე, განიხილა-რა ეს საკითხი, დაამტკიცა გამგეობის დადგენილება იმ ცვლილებით, რომ საქმის მწარმოებლის ნაცვლად, რომელიც ქალაქის მდივნის თანაშემწედ უნდა ყოფილიყო, გარდასწყვიტა აღნიშნულ ჯამაგირით დაწესებულ იქმნეს ქალაქის გამგეობის განსაკუთრებული მდივნის თანამდებობა, რომელიც სამსახურის აღსრულების საქმეში დამოკიდებული იქნება მხოლოდ გამგეობისაგან.

✦ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინათ ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაცია ოფიციალურად აცხადებდა სოჩის ოლქის უფროსის გლაგოლევის სოჩიდან გაპარვის ამბავს. ეხლა, როგორც „ჩერნომ. ვესტნ.“ იტყობინება, გლაგოლევი აღმოუჩენიათ და სრულს გარემოებას მისის საქმისას მალე სასამართლოსაგან გავიგებთო.

✦ პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი თავ. თარხნიშვილი, პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, მიუწვევია ბრიუსსელის უნივერსიტეტს ფიზიოლოგიის ლექციების წასაკითხათ. თავ. თარხანიშვილი თანახმა გამხდარა და მოკლე ხანში აპირებს ბრიუსსელში წასვლას.

✦ ბათუმში ამ დღეებში მისულან მიწადმოქმედების სამინისტროს იურისკონსულტი ეფიმოვი და სატყეო რევიზორი ვუჩინოი; მათ, „ჩერნომ. ვესტნიკის“ სიტყვით, მინდობილი ჰქონდათ შეკრება ცნობებისა იმ მეპატრონეთა შესახებ, რომლებსაც ხაზინამ უნდა უჩივლოს სახელმწიფო მიწების დასაკუთრების გამო ბათუმში.

✦ სიღნაღის მაზრის, შირაქის საპოლიციო ნაწილში აღმოუჩენიათ კალიის მრავალი კვერცხი; სამაზრო მმართველობა თხოულობს 1400 მან. კრედიტს კალიის მოსასპობლად.

✦ დღეს, 1 მარტს, ტფილისის ქალაქის გამგეობის დარბაზში სხდომა ექნება ქალაქის სკოლების გამგე კომისიას, რომელსაც განსახილველი აქვს, სხვათა შორის, შემდეგი საქმეები: ალექსანდრეს ბაღში პუშკინის სახელობაზე ბიბლიოთეკა-სამკითხველოს მოსათავსებელ სადგომის ასაშენებლად შემუშავებული პროექტი, არჩევანი ქალაქის სასწავლებელთა ორი მკურნალისა; ძმ. ამიროვებისა და ირდუბეგოვის სახელობაზე ტფილისის სახელოსნო სასწავლებელში სტიპენდიების დასაარსებლად წესდება და სხვა საქმეები. კომისია განიხილავს სულ 7 საქმეს.

✦ ბათუმში არსდება მომხმარებელი საზოგადოება „ეკონომია“, რომლის წესდება მალე იქნება დამტკიცებული. საზოგადოებაში უკვე ჩაწერილია 260 წევრი. კვირას, 4 მარტს, წევრთ-დამფუძნებელთ ექნებათ პირველი საზოგადო კრება.

✦ სამშაბათს კრება ჰქონდათ კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების წევრთ. კრებაზე წაკითხულ იქმნა ერთის წევრის მოხსენება ზოგიერთ სანოვაგის გავლენის შესახებ ადამიანზე. მოხსენება მოკლებული იყო მეცნიერულ ხასიათს და შეუმუშავებული.

არ იქნება ურიგო, საზოგადოება მიაქცევდეს ყურადღებას საჭირო პროფესიონალურ საკითხებს, ფარმაცევტთა და აფთიაქის შეგირდების მდგომარეობას და სხვა ამგვარ საკითხებს და ნაკლებ დროს ანდომებდეს შეუმუშავებელ რეფერატების განხილვას.

✦ ხვალ, 2 მარტს, ტფილისის სახაზინო პალატის მოხელენი გამოსათხოვებელ სადილს უმართავენ ამ პალატის გამგედ ნამყოფს ბ. ვერეტენნიკოვს.

✦ გუშინ ტფილისის სამოსამართლო პალატაში უნდა გარჩეულიყო ბაქოს ნავთის მრეწველის აწ უკვე გარდაცვალებულის რილსკის საქმე, რომელსაც ჰბრალდებოდა მილების გაკეთებით სხვისი ნავთის მოპარვა. საქმე გადაიდო.

✦ 8 თებერვლიდან 16-მდე ტფილისში 15 კაცი გამხდარა ავად სხვა და სხვა გადამდებ სენით; მათგან: წითელათი—3, ქუნთრუშით—5 (2 კაცი მომკვდარა), დიფტერიტით—4, ყელჭირებით—1 (მომკვდარა), ხუნაგით—1 და წითელი ქარით—1.

✦ შარშან ბელგიის უსახელო საზოგადოება შესდგომია თავის ხარჯით ვორონცოვის ძეგლის გარშემო მოედნის მ[...] წყვლას; ამაზედ ქალაქის საბჭოს [...] რკინის გზის თვალყურის მგდებელი [...] სია შეჰკითხებია [...] გენელს, თუ რა ნებით ჰკირწყლავ[...] ამ მოედანს; საზოგადოების წარმო[...] ნელს მუშაობა დროებით შეუჩერებ[...] მიუმართავს ქალაქის გამგეობისათვ[...] ერთო ნება მოედნის მოსაკირწყლ[...] რადგანაც საზოგადოებას ამის შესახებ[...] დენი ხანი პასუხი არ მიუღია, ეხლა [...] ცხენის რკინის გზის თვალყურის მგ[...] კომისიას სხვათა შორის, რომ უსახელ[...] ზოგადოებასთან გამგეობის 14 მარტის [...] წლის ხელშეკრულებით განსაზღვრ[...] არაა დრო მუშაობის დაწყებისა და ვო[...] ცოვის ძეგლთან მოედნის მოხაკირწყლ[...] ჩვენ ვხელმძღვანელობთ აღნიშნულ [...] შეკრულების მე-28 მუხლის ძალითაო.

✦ ტფილისში მოვიდნენ უგანათლ[...] ვადი ვიტხენშტეინი და მე-21 ქვევითა[...] ვიზიის ბრიგადის უფროსი გენერალ-მა[...] პოპოვი.

✦ დღეიდან ძალაში შედის ახალი[...] გერბო წესდება, შარშან ივლისში უმაღ[...] სად დამტკიცებული.

✦ 26 თებერვალს, ღამით, ავჭალის ქუჩაზე[...] მოვის სახლში გაჰქურდეს ავეტისოვის მაღაზია. [...]ტისოვის ჩვენებით, ქურდებს გაუტანიათ 1700 [...] ღირებულობის საქონელი.

✦ პოლიციის მე-10 ნაწილში კვირას, 25 [...] რვალს, ღამის 10 საათზე, ავჭალის ქუჩაზე მ[...] რების ფარნავოზოვის სახლში შეპარულა ტფი[...] მოქალაქე ნიკ. ახნაზაროვი გასაშრობად გაფ[...] ნაბდის მოსაპარავად. ქურდისათვის მალე შეუტყ[...] რომელიც გადმოვარდნილა მაღლიდგან და [...] ულვრძვია. ახნაზაროვმა, როცა იგი დაპატიმრებ[...] პოლიციაში მიიყვანეს, განაცხადა, პოლიციის მ[...] ლემ დამჭრაო, რაც არ დამტკიცდა როგორც მ[...] ლესა, აგრეთვე ამ ამბის მნახველ იქ მცხოვრებლ[...] ჩვენებით. დამნაშავე ახნაზაროვი პასუხის გე[...] იქმნა მიცემული.

✦ გუშინწინ პოლიციის მე-2 ნაწილში, გრი[...] ედოვის ქუჩაზე, იზმიროვის სახლის შესავალთან, პო[...] ციის მოხელემ აიყვანა რამდენიმე დღის დაბადებ[...] მოგდებული ბავში მდედრობითი სქესისა. ბა[...] ოლგას საბებიო ინსტიტუტში იქმნა გაგზავნილ[...]

✦ სოგუდ-ბულახიდგან იტყობინებიან, რომ [...] თებერვალს, ღამის 11 საათსა და 10 წუთს, მე-[...] ვერსზე სახალხო მატარებელმა №-6 გაჭყლიტა [...] დარაჯი რუსტამ უსუფ-ოღლი.

## ახალი საზოგადოება.

ტფილისში მოვიდა ცნობა ამ დღეებ[...] რომ უკვე დაუმტკიცებიათ სადაც ჯერ [...] აღმოსავლეთ ქვეყნების შემსწავლელ [...] ზოგადოების განყოფილების დაარსება ტ[...] ლისში.

„აღმოსავლეთ ქვეყნების შემსწავლელ [...] ზოგადოებას“ აზრადა აქვს გააცნოს რ[...] სეთს ის ქვეყნები და დაუკავშიროს მა[...] სხვათა შორის, ვაჭრობა-მრეწველობის მხრი[...]

რაღა თქმა უნდა, რომ ჩვენს სამშობლ[...] სთვის ამ საზოგადოებას განსაკუთრები[...] მნიშვნელობა აქვს. თუმცა აგერ ასი წელ[...] წადია, რაც ჩვენი ბედი შეუერთეთ რ[...] სეთის იმპერიას, მაგრამ რუსეთის საზოგ[...] დოება კი ჩვენ ჯერ კიდევ ნაკლებად გ[...] ცნობს. და აი ტფილისში გახსნილ საზ[...] გადოების განყოფილებას მიზნად ექნ[...] სხვათა აღმოსავლეთ ქვეყნებ შორის ჩვე[...] ქვეყანაც გააცნოს რუსეთს. ამ მიზნის მ[...] საღწევად იგი შეუდგება აღმოსავლეთ ქვე[...] ყნების გამოკვლევას ეკონომიურის, ეტნ[...] გრაფიულს, კულტურულის და სხვა მხრ[...] ებით. საზოგადოებას, სხვათა შორის, უფლ[...] ბა აქვს დაარსოს სკოლები, სამრეწველ[...] ქარხნები, აგენტურები და სხვა ამისთანებ[...] რათა უფრო მძლავრად დაუკავშიროს ეკო[...] ნომიური ვაჭრობის მხრივ აღმოსავლეთ[...] ქვეყნები რუსეთს.

მოგვყავს სია იმ ქართველთა, რომელ[...] თაც უკვე მოისურვეს წევრად ჩაწერილ[...] ყვნენ და არჩეულნი არიან კიდეც წევრ[...] ბად პეტერბურგში მყოფი საბჭოს მიერ.

ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინ[...] მძღოლი თ. გ. დ. აბხაზი, ბორჩალოს მო[...]

...გებელი შუამავალი თ. ი. დ. აბხაზი, ...ეთის მაზრის უფროსი ნ. ი. ალექსი...შვილი, კავალ. გენერალი თ. ი. გ. ...ახვარი, თ. ა. მ. ბაგრატიონ-მუხრან... თ. კ. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკი, თ. ი. ...ბარათაშვილი, თ. მ. რ. ვაჩნაძე, მ. გ. ...შვილი, ტფ. მაზრის უფროსი თ. ლ. ...ანდიერი, თ. გ. ნ. დიასამიძე, ქართული ცენზორი გ. დ. ჟურული, სამეურნეო ...გადოების მდივანი ი. ო. იოსელიანი, ...ყიფიანი, დუშეთის მაზრის თავად...ურთა წინამძღოლი გ. ა. ყარანგოზი...ოი, გორის ეპისკოპოსი კირიონი, კ. ი. ...აშვილი, ტფ. გუბ. თავად-აზნაურთა ...მძღოლი თავ. დ. ზ. მელიქიშვილი, ...ურნეო ბანკის დირექტორი თ. ვ. ს. ...ლაძე, ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა ...მძღოლი ი. ბ. საგინაშვილი, დ. ზ. ...ჯიშვილი, ქართულ დრამატ. საზოგა...ბის თავმჯდომარე ვ. ა. სულხანიშვი... ტფ. სათავად-აზნაურო სკოლის ინ...ტორი ე. ს. თაყაიშვილი, ნ. გ. ტა...ვილი, თ. ნ. ა. თუმანიშვილი, თ. გ. ...იმშიაშვილი, თავ. ი. გ. ჭავჭავაძე, მ. რ. ჭავჭავაძე, თ. ა. ნ. ჭავჭავაძე, ...ავის მაზრის თავად-აზნაურთა წინა...ლი თავ. დ. ე. ჩოლაყაშვილი და ...მისტრი ბორის ესაძე.

...ზოგადოებას შეადგენენ შემდეგი წე...:

...) საპატიო (რომელთაც განსაკუთრე...ად ირჩევენ).

...) მზრუნველნი, რომელთაც შეაქვთ ...ლ წლივ 500 მანეთზედ არა ნაკლები, ...ერთხანად 5000 მანეთზე არა ნაკლები.

...) ნამდვილნი,—შეაქვთ წლიურად 10 ...ზედ არა ნაკლები, ან ერთხანად 100 ...ზედ არა ნაკლები.

...) გულშემატკივარნი, რომელთაც ერთ ...დ შეაქვთ 30 მანეთზედ არა ნაკლები.

...) თანამშრომელნი,—რომელთაც აღუთ... საზოგადოებას დაეხმარონ ცნობების ...ვნით.

...საც ჰსურს ჩაეწეროს საზოგადოების ...ად (უკვე არჩეულ 115 კაცის გარდა), ...უნდა მიჰმართონ: ჟურნალ-გაზეთების ...ქციებს: „კავკაზის“, „ნოვოე ობოზ...ის“, „ტფილისის ფურცლის“, „ივე...“, „მშაკის“, „კავკ. ვესტნიკის“. ...გის მაღაზიებს: ბეგიჩევისა, ლ. ბ. ...ველისა, „ცენტრალურს“. ...შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგა...ბას“ და „საურთიერთო კრედიტის სა...დოებას“.

...რველ საზოგადო კრების შესახებ ტფი...ის განყოფილება ცალკე განცხადებას ...ქდავს.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

(...ечатается по распоряженію Кавказ. Цензурнаго комитета на основ. 139 ст. Уст. Ценз.)

...ნო რედაქტორო! თქვენის გაზეთის «ცნო...ფურცლის» 1337 №-ში ბათუმელს უსახელო ...სპონდენტს სრულიად უმართლო და დაუ...ბუთებელის ბრალდებით გამოულაშქრნია ჩემის ...რობის წინააღმდეგ. ამით იმას მკითხველი ...გადოება შეცდომაში შეჰყავს და ამისათვის ...ზიდლესად გთხოვთ, სიმართლის აღსადგენად, ...ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენის ...თის უახლოესს ნომერში.

...რესპონდენტი სწერს: «ხარჯთ-აღრიცხვის ...ვა ძლიერ მშვიდობიანად და თანხმობით ...და, ვიდრე ჯერი არ მიდგა სასანიტარო-...რნალო ნაწილების ხარჯების გასინჯვაზედ. ...რც კი შეუდგნენ ამ საქმეს, იმ წამსვე სა...მონასტერი. დამწყები იყო ხმოსანი პალმი, ...დი—ხმოსანი-ექიმი ელიავა. საქმე იმაშია, ...ექიმმა ელიავამ თითქო დრო იშოვა აქ თა...ძველი ანგარიშების გასასწორებლად. შემ...ა მეტად დამახასიათებელია და ამიტომ მო...ვ მკითხველის ყურადღებას ამ ინციდენტს, ...რმაც საზოგადო უკმაყოფილება და ზიზ...ამოიწვია. ქალაქის სამკურნალოს უფროსი ...ბნი ტრიანდაფილიდესი ქალაქისაგან დე...ობს მხოლოდ 600 მანეთს. ხმოსანმა პალმა სთქვა, რომ ხარჯთ-აღრიცხვაში სიტყვა ჯამაგირი შესცვალეთ «მისვლა-მოსვლისათვის»-ით.

აქედან მკითხველს ეძლევა შემთხვევა იფიქროს, რომ მე ვითომ რაღაც ძველი ანგარიშების გასასწორებლად დრო მეპოვოს და მეთქვას ისეთი რამ, რასაც საზოგადო უკმაყოფილება და ზიზღი უნდა გამოეწვიოს. მხოლოდ რა ვთქვი მე, ან რა სთქვა ხმ. პალმმა, რომლის მიმყოლიც ვითომ ვიყავ მე,—ამაზე კორესპონდენტი კრინტსაც არა სძრავს და თავისს საშინელ ბრალდებას დაუსაბუთებლად სტოვებს, თუმცა ყოველი პატიოსანი კაცი, ყოველი ობიექტიური კორესპონდენტივალდებულია, როდესაც ასე სასტიკად ეპყრობა ადამიანის პირადობას და ეს მისი სასტიკი მოპყრობა საზოგადოებაში გამოაქვს საქვეყნოდ,—დაასაბუთოს ბრალდება. მაგრამ ამ საბუთისთვის თქვენს კორესპონდენტს თავი არ შეუწუხებია და ისე, ზეპირად ბრძანებს: «ელიავამ დრო იშოვა თავისი ძველი ანგარიშების გასასწორებლად, რამაც უკმაყოფილება და ზიზღი გამოიწვიაო»! რასაკვირველია, ამ მისი ბრალდების დასაბუთება მისთვისაც სასიხარულო იქნებოდა უთუოდ, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ ტყუილსა და უმართლობას იმისთვის ეძახიან აგრე, რომ მათი დასაბუთება შეუძლებელია. კორესპონდენტი ამბობს, რომ ხმ. პალმმა სთქვა: «სიტყვა ჯამაგირი ხარჯთ-აღრიცხვაში შევცვალოთ «მისვლა-მოსვლისათვის»-ად». მაგრამ გაუგებარი რჩება,—მე რა ვთქვი, რა პასუხი მივეცი ხმ. პალმს. ვთქვათ,—როგორც კორესპონდენტი სრულებით უმართლოდ მახვევს მე თავზე,—ამ სიტყვებში მივეცი მე მხარი პალმს (თუმცა, როგორც ქვემოდ დაინახავთ, მე სრულებით სხვა აზრისა ვიყავ), რა მომაკვდინებელი ცოდვა ჩამიდენია ვითომ ამითი?! ერთის სიტყვით, კორესპონდენტი მკითხველს გზა-კვალს უბნევს, რომ თავისი წინ წამძღვარებული აზრი გაიტანოს და მკითხველი დაარწმუნოს, რომ მე ვითომ რაღაც საზიზღრობა ჩამედინოს. მას მიზნად მხოლოდ ეს ჰქონია და, რადგანაც ვერ უპოვია საბუთები თავისი აზრის დასამტკიცებლად,—ყოვლად უსაბუთოდ, ლიტონის სიტყვებით იღანძღება. აი ამისთანა შემთხვევაში შეიძლება ითქვას: «И дешево, и сердито».

ეხლა ვთხოვ რედაქციას და მკითხველებს, რომ მეც მომისმინონ და გაიგონ რაშია საქმე.

წარსული წლის 20 დეკემბერს ბათუმის საბჭომ თავისს სხდომაზე განიხილა მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა. მართალს არ ამბობს კორესპონდენტი (რაში არ სტყუის ის, მითხარით?), როდესაც ლაპარაკობს, რომ ხარჯთ-აღრიცხვის გარჩევა ძლიერ მშვიდობიანად და თანხმობით მიდიოდა. დიდი კამათი და აურ-ზაური გამოიწვია, სხვათა შორის, შემდეგმა კითხვებმა: საყასპოს იჯარით გაცემამ, ქალაქის ბეითლისა და მაზრის ბეითლის თანამდებობათა შეერთებამ (совмѣщеніе), მასწავლებლის მგელაძის თხოვნამ ჯამაგირის მომატებაზე *). ამ კითხვებს გვერდი აუხვია კორესპონდენტმა და აქაც, რა თქმა უნდა, თავისი მიზანი ჰქონდა იმას. როდესაც «ჯერი მიდგა», როგორც კორესპონდენტი ბრძანებს,—«სასანიტარო-სამკურნალო ნაწილების ხარჯების გასინჯვაზე», ხმ. პალმმა სთქვა, რომ ქალაქის სამკურნალოს გამგეს და დოსტაქარს ერთობ ცოტა ჯამაგირი ეძლევათ და ამისთვის მათის შრომის სასყიდელს ჯამაგირი კი არ უნდა ვუწოდოთ, არამედ «მისვლა-მოსვლისათვის» საფასური. მე კი ამაზე მოვახსენე საბჭოს დაახლოვებით შემდეგი: «მე სრულიად ვეთანხმები ხმ. პალმს, რომ საავადმყოფოს გამგის ჯამაგირი 600 მანეთი და დოსტაქრის—500 მ. ძლიერ ცოტაა და ამას «ჯამაგირს» ვუწოდებთ, თუ «მისვლა-მოსვლისათვის» საფასურს, ამითი საქმე მაინც არ შეიცვლება. მე არა ერთხელ და ორჯელ მითქვამს საბჭოში და მის გარეთაც, რომ ყოველ შემთხვევაში, საუკეთესო იქნება ქალაქისათვის და მის სამკურნალოსათვისაც, რომ ჩვენ გვყავდეს საკუთარი ექიმი, რომლისთვისაც ჩვენი საავადმყოფო უნდა იყოს უპირველეს საქმედ, ხოლო სხვა დანარჩენი საქმეები «სხვათა შორისად», თუ შეიძლება აგრე ითქვას. ჩვენი საავადმყოფო საქველ-მოქმედო დაწესებულება როდია, რომ იმას ეპირვებოდეს ვისიმე მუქთი და სამადლო შრომა. ჩვენ შეგვიძლიან ჩვენი მოსამსახურეები რიგიანად, ღირსებისა და შრომისამებრ დავაჯილდოვოთ. რაც შეეხება სასანიტარო ექიმისა და დოსტაქრის ადგილების შეერთებას (совмѣщеніе) და ამ მოვალეობათა ერთის პირისადმი მინდობას, რაც ეხლა არის და რის დასაწყისიც ამ 4—5 წლის წინად დაუყარდა,—მე მგონია, არ არის სასურველი, რადგანაც, მართალი რომ ვთქვათ, ქალაქს, ამგვარ მოვალეობათა შეერთების მეოხებით, არა ჰყავს არც სასანიტარო ექიმი და არც დოსტაქარი... მართლაც, თუ კი სასანიტარო-ექიმი უნაკლულოდ და სინდისიერად შეასრულებს თავისს მოვალეობას, მას არ დარჩება დრო საავადმყოფოში სამუშაოდ, ან-და, თუ კი ის დოსტაქრის მოვალეობას ასრულებს ამგვარადვე,—მაშინ ქალაქის სანიტარულ საქმეებზე ვერ მოიცლის, რადგანაც ყოვლად შეუძლებელია, რომ ერთსა და იმავე დროს ექიმი ორს ამ დიდს თანამდებობას ემსახუროს ისე, რომ ან ერთს არ ავნოს და ან მეორეს, რადგანაც თითოეული ამ თანამდებობათაგანი მოითხოვს ერთი კაცის ძალ-ღონეს და დროს, ვიმეორებ, თუ კი, რა თქმა უნდა, საქმე რიგიანად იქნება შესრულებული... აი, სწორედ ამ აზრისა იყო ამ 4—5 წლის წინად ქალაქის გამგეობა, როდესაც მან გადასწყვიტა,—არ მიენდო ერთის პირისათვის სასანიტარო ექიმის და სამკურნალოს დოსტაქრის მოვალეობანი, მაგრამ გამგეობის ერთ წევრთაგანს არ მოეწონა დანარჩენ ამხანაგების ამგვარი გარდაწყვეტილება და ეს კითხვა საბჭოში გადმოიტანა, ვითომ როგორც ხმოსანმა. საბჭომ კი ეს კითხვა,—თამამად შემიძლიან ვთქვა,—ქალაქისა და მის მცხოვრებთა საზარალოდ, პროტესტანტ გამგეობის წევრის სურვილისამებრ გადასწყვიტა, ესე იგი დასახელებული თანამდებობანი უნდა მიენდოთ ერთისა და იმავე პირისთვის. გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ არ დაამტკიცა ეს გარდაწყვეტილება საბჭოსი. საბჭოს მოხსენდა ეს და მან გადასწყვიტა განესაჩივრებინა სენატში საკრებულოს გარდაწყვეტილება. განსაჩივრება კი მიანდო საბჭომ იმავე წევრს, რომელიც გამგეობის წინანდელ აზრს არ დაეთანხმა... დაიწერა კი საჩივარი?—არა... განასაჩივრეს საკრებულოს გარდაწყვეტილება?—არა. მერე?—მერე მოხდა რაღაც ყველასაგან მოულოდნელი: გამგეობის წინანდელი გარდაწყვეტილება და აგრეთვე საკრებულოსიც დარჩნენ «ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა», ესე იგი მიივიწყნენ და მაგიდის მაუდის ქვეშ ამოაყუდეს თავი».

აი დაახლოვებით, რაც მე ვთქვი ამ კითხვის შესახებ 20 დეკემბერს საბჭოს სხდომაზე და რაც, უსახელო კორესპონდენტის სიტყვით, ვითომ რაღაც ძველი ანგარიშების გასასწორებლად მითქვამს და რასაც ვითომ ზიზღი გამოუწვევია საზოგადოებაში!.. არ ვიცი, რომელ საზოგადოებაზე ლაპარაკობს კორესპონდენტი!.. შეიძლება იმ საზოგადოებაზე ლაპარაკობდეს, რომლისათვისაც მოპირდაპირეს ორჯელ ორი ხუთს შეადგენს, მაგრამ ამისთანა საზოგადოება ხომ ჭეშმარიტებას და სამართლიანობას მოკლებულია და დღეს ამ ვაჟბატონებს ჭეშმარიტებამ ზიზღი მოჰგვაროს, და ეს ჭეშმარიტება, რა რომ ვერ შესძლებენ მისს დარღვევას, თავის სანუგეშებლად და მკითხველების თვალის ასაბმელად «ძველის ანგარიშების სახელით გაასაღონ!.. Sapienti Sat!

ექიმი გრ. ელიავა

ქ. ბათუმი,
11 იანვარს 1901 წ.

*) ეს კითხვები გადაწყდნენ აგრე: 1) საყასპო ისევ გამგეობის მხედველობის ქვეშ დასტოვა საბჭომ, წინააღმდეგ კომისიის აზრისა; 2) საბჭომ დაავალა გამგეობას საკუთარი ბეითალი მოიწვიოს, წინააღმდეგ გამგეობის აზრისა; 3) მასწავლებელს მგელაძეს მოემატა ჯამაგირი, წინააღმდეგ გამგეობის აზრისა.

ავტ.

---

# პროვინცია

**ქუთაისი.** ორი დღეა, რაც ქუთ. ქალაქის გამგეობამ მიიღო ქუთაისის გუბერნატორისაგან ქაღალდი, რომელშიდაც არის ნათქვამი, რომ ქალაქის მოურავი ბ. დ. ლოლუა, თანხმად თხოვნისა, დათხოვილია სამსახურიდან. რასაკვირველია, ეს მოხსენდება ქალაქის საბჭოს, რომელიც ამის გამო ამ ცოტა ხანში უნდა შეუდგეს ქალაქის ახალი მოურავის არჩევას. დრო ბევრი არ დარჩენილა, საჭიროა რაც შეიძლება მალე გაიცნონ ხმოსნებმა ეს კითხვა და ყოველ მხრივ ასწონ-დასწონონ ჩვენი ქალაქის ქონე-დელი მდგომარეობა; ჩვენი მატერიალური უქვეითება და ჩამორჩენა სხვა ქალაქებზე დიდ სამუშაოს წარმოადგენს და მომავალ მოურავს ქალაქისას დიდი გამჭრიახობა, ენერგია და შრომა დასჭირდება, რომ ცოტათი მაინც გამოაცოცხლოს მომაკვდავი ქალაქი. მდგომარეობა სულ უნუგეშო არ არის და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მცოდნე და ენერგიის მქონე კაცი გამოუძებნის ქალაქს შემოსავლის წყაროებს და მოუსპობს მას მუდმივ წუწუნს და უქონლობაზე ჩივილს.

ჯერ-ჯერობით ისიც კაი ნუგეშია, რომ ქალაქის აფთიაქის და მილებით წყლის გაყვანის საქმეებს ბოლო მოეღო. 24 ამ თვეს ქალაქის გამგეობას მოუვიდა გუბერნატორის მოწერილობა, რომელშიაც არის ნათქვამი, რომ ქალაქს შეუძლიან შეუკრას პირობა ბ. მიხაილოვს ქუთაისში წყლის მილებით გაყვანის შესახებ.

ექვსი თვის განმავლობაში, პირობის შეკვრის შემდეგ, ბ. მიხაილოვი ვალდებულია წარუდგინოს გამგეობას დაწვრილებითი გეგმები და მოხაზულობა (планы и чертежи) წყლის გაყვანის საქმისა და შემდეგ შეუდგეს მუშაობას. ეჭვი არ არის ბ. მიხაილოვი იმავე ენერგიით და სიყვარულით შეუდგება ამ საქმის განხორციელებას, როგორც დაიწყო მან ის ამ ორი სამი წლის წინეთ.

რაც შეეხება ქალაქის აფთიაქს, იმასაც მოეღო ბოლო და გუბერნატორი თანახმაა, რომ გაიხსნეს ქალაქის აფთიაქი ივანოვის ქუჩაზე, ღუჩაიძის სახლში. იმედია, ქალაქის საქმეების გამგენი გამოიჩენენ არა ჩვეულებრივ ენერგიას, მაგრამ ჩაებღაუჭებიან ამ მეტად სასარგებლო საქმეს და მალე გახსნიან აფთიაქს. ყოველივე ფორმალური მხარე ამ საქმისა უკვე შესრულებულია და განხორციელება გამგეობაზეა დამოკიდებული. კმარა, რაც დრო დაიკარგა და რაც ზარალი მიეცა ქალაქს.

გუშინ, შუადღამის სამ საათზე, ცეცხლი გაუჩნდა რეალურ სასწავლებელს და დაიწვა სამი ოთახი. ზარალი დიდი არ არის, მხოლოდ რამოდენიმე დღით დაითხოვეს მოსწავლენი.

დ. მ.

---

**ბათუმი.** რამოდენიმე დღის შემდეგ სწორედ ერთი წელიწადი შესრულდება, რაც გაიხსნა ბათუმის უფასო სამკითხველო. გახსნილია იგი აქაურ ქართველთა მეცადინეობით და დღესაც ამათგანვე ინახება, ესენი არიან მისი ჭირისუფალნი. ნამდვილი დამაარსებელნი იყვნენ სწორედ ქართველი მანდილოსანნი, მათ ფულიც შეჰკრიბეს და მათივე მეცადინეობით არსებობს დღესაც ჩვენი ბიბლიოთეკა. სიამოვნებით აღვნიშნავ რა ამას, მოვალეობად მიმაჩნია სახელდობრ მოვიხსენიო ეს პატიოსანი მანდილოსნები; ესენი გახლავან ქ.ქ. ნინ. ქიქოძისა, მარ. მხეიძისა, მარ. ელიავასი, ეკ. ბერძენიშვილისა, ნინ. ბერძენიშვილისა, პელ. დომინაძისა, თებრ. საბაევისა, გრაც. მჭედლიშვილისა. მათ მოაგროვეს 541 მანათი და საფუძველი ჩაუყარეს სამკითხველოს, რომლის წლიურს ანგარიშს ამ მოკლე ხანში მოისმენს მმართველთაგან საზოგადოება.

ზემოხსენებული ფულების გარდა წლის განმავლობაში სამკითხველოს სასარგებლოდ იყო გამართული ორი წარმოდგენა და ორი სახალხო წარმოდგენიდანაც თითო წილი არგეს, რამაც შემოიტანა 295 მ. 17 კ.; შვიდი პირი საპატიო წევრებად ჩაეწერნენ, რამაც სამკითხველოს შესძინა 175 მან.; შემოსავალი იყო აგრეთვე საწევრო ფულებიდანაც, რამაც შეადგინა 336 მ. 50 კ.; ყოველ ამას გარდა წვრილმანი შემოსავალიც იყო, ასე რომ მთლად შემოსავალი გამოიხატება 1356 მ. 15 კ.

ხარჯი ჰქონდა: წიგნები ნაყიდია—148 მ. 71 კ.; მოწყობაში დაიხარჯა 212 მ. 12 კ.; გამოიწერა შარშან და წრეულისათვის ჟურნალ-გაზეთები 149 მ. 30 კ.; ჯამაგირი ბიბლიოთეკის გამგეს, განათება სამკითხველოსი, წვრილმანი სხვა და სხვა ხარჯი—253 მ. 7 კ. სულ 763 მ. 20 კ.,—ასე რომ დღეს სამკითხველოს კიდევ აქვს ნაღდი ფული 592 მ. 95 კ.

სამკითხველო დიდს თანაგრძნობას იწვევს ყველასაგან, თუმცა, მართალია, ბევრგან სიტყვიერს, მაგრამ იმედია, სიტყვას საქმედ გადააქცევენ, როცა საჭიროება ამას მოითხოვს.

ზემოხსენებულ ფულებს გარდა სამკითხველოს მრავალთაგან წიგნებიც შემოუწირავს. დღეს სამკითხველოს აქვს რუსული წიგნი — 599, ქართული — 368, სომხური — 114; აქედან ნაყიდია მხოლოდ 335, დანარჩენი სულ შემოწირულია სხვა და სხვა პირებისაგან

მკითხველთა რიცხვი დღემუდამ ძალზე მატულობს, ასე რომ პატარა სადგომი ძლივს იტევს კითხვის მოსურნეთ. უმეტესი ნაწილი მკითხველებისა რუსობაა ვინაიდან სამკითხველო არ ყოფილა სასურველად მოწყობილი, ამიტომ დღემდის წიგნებს არავის აძლევდნენ და მკითხველები სარგებლობდნენ მხოლოდ ჟურნალ-გაზეთებით. ჟურნალ-გაზეთები სამკითხველოს მოუდის ქართულ-რუსულ-სომხური. მკითხველთა რიცხვი, ვიმეორებ, იმდენად მრავალია, რომ სადგომი ხშირად ვერ იტევს. გახსნის პირველი დღიდან მკითხველთა რიცხვი დათვლილია 37,546, ესე იგი 140 ყოველდღიურად.

ამ მოკლე ხანში აპირობენ რუსული წარმოდგენის გამართვას სამკითხველოს სასარგებლოდ და იმედია, რომ რამოდენიმე ასს მანეთს შესძენენ ამ სიმპატიურ დაწესებულებას.

—

**ს. ჭალა** (შორაპნის მაზრა). 24 თებერვალს აქ მოხდა ერთი ამბავი, რომელიც ნათლად ამტკიცებს, თუ რამდენად თავისუფლად და უტიფრად თარეშობენ ჩვენში თავზე ხელაღებული ქურდ-ბაცაცები. აზნ. ივ. აბაშიძეს დამის პირველ საათზე თავს დაესხნენ ყაჩაღები და გაძარცვეს. ივანე აბაშიძე ერთი შეძლებული აზნაურთაგანად ითვლება ამ სოფელში და აი, ალბად, ამიტომაც მიაშურეს მას ქურდებმა. იმ დღეს აბაშიძეს ეწვია თავისი სიძე ბ. ქ—ძე, რომელიც იმ ღამეს იქ დარჩენილიყო. ქურდებს ჯერ თვით ეზოში გაუგეს მისვლა, მაგრამ შიშით ვერა გაუბედნიათ-რა. აბაშიძის ქალიშვილმა მ — მ შეამჩნია, რომ ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი მოდიოდნენ და შეატყობინა მამას, მაგრამ ამავე დროს ქურდებმა ფანჯარაც ჩაამტვრიეს და შეცვივდნენ იმ ოთახში, სადაც შინაურები იწვნენ. სიძე და სიმამრი ერთმანერთს გადაბეს თოკებით და ქალიშვილს მოსთხოვეს ეჩვენებინა მათთვის საკუჭნაოები, სადაც ფულები ინახებოდა. რადგანაც ქალიშვილმა ვერ შეუსრულა ნაბრძანები, მისცვივდნენ მამას, რომ მიეცა მათთვის ის ასი თუმანი, რომელიცვითომც მას სამი თუ ოთხი დღის წინად უნდა აეღო სახაზინოში. თუმცა აბაშიძე ქურდებს ბევრს ევედრებოდა, — არ გამაჩნია ერთი გროშიცაო, მაგრამ არ მოეშვნენ, სანამ არ გასინჯეს კარგად ყველა მის-მიერ მიღებული საბუთის ქაღალდები. როცა სიმამრთან ვერას გახდნენ, მიჰმართეს ეხლა სიძეს და მოსთხოვეს მიეცა მათთვის ქისა; ქურდებმა კარგად დაუჩხრიკეს ჯიბეები და როცა ერთი კაპეიკიც კი ვერ უნახეს, ქისა თავში მიახალეს და უთხრეს: შეგარცხვინა ღმერთმა, რომ ერთი კაპეიკიც არა გქონიაო. შემდეგ წაიმძღვანეს წინ ქალიშვილი, აიყვანეს მაღლა ოთახებში და ყველა დაკეტილი ყუთები გაჩხრიკეს, სადაც იპოვნეს მხოლოდ 4 მანეთი და 40 კაპ. ქალიშვილის საკუთარი ფული. ბუფეტის შკაფთან რომ მივიდნენ, ქალიშვილმა გასაღებს ვერ მიაგნო, ჩამოიყვანეს ძირს გასაღების საპოვნელად და ისევ გაბრუნდნენ; გააღეს შკაფი და ვახშამიც კარგი მიირთვეს სასმელებით. ქურდები ისე დადიოდნენ სახლში და იცოდნენ ყველა ძვირფასი ნივთეულობა, რომ ჩვენებაც არ სჭირდებოდათ. წაიღეს საქონელი სულ ორმოცი თუმნისა: ხანჯლები, საათები, წაღები, კალოშები, ლეჩაქები, ცხვირსახოცები, დანა-ჩანგლები და სხვ. ადგილობრივმა ბოქაულმა შესაფერისი ზომები მიიღო ყაჩაღების აღმოსაჩენად.

სოფ. ძოდის მცხოვრებმა საჩინო ბარათაშვილმა წალდი დაჰკრა გიორგი გიორგაძეს, მამასახლისის ნაცვალს, როდესაც ეს უკანასკნელი უწყებას აბარებდა ბარათაშვილს და თავი გაუჩეხა ისე, რომ მისი მორჩენა საეჭვოა. ბარათაშვილი მაშინვე გაქცეულა და დღესაც არავინ იცის, სად არის. გამოძიება სწარმოებს.

გალქმე

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

I

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო როგორც ოდესელ ქართველ სტუდენტთ, რომელთაც სოფ. ბარისახოს (თიანეთ. მაზრა) სკოლის ბიბლიოთეკას ჟურნალ „ჯეჯილის“ წარსულ 1898, 1899, 1900 წლების ნომრები შემოსწირეს, ეგრეთვე ნ. ი. ტოროშელიძეს, რომელმაც სასწავლებელს ამ წლის „ჯეჯილი“ გამოუწერა.

მასწავლებელი დ. პავლიაშვილი

II

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადო სოფელ ინჩხურში მცხოვრებთ ბ.ბ. ექვთიმე მონიავას და ალექსი დგებუაძეს, რომლებმაც კეთილ ინებეს და ინჩხურის წმ. გიორგის ღარიბ ეკკლესიას შემოსწირეს ვერცხლის ფეშხუმი, კოვზი და ლახვარი სულ ღირებული 32 მან.

ინჩხურის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელი

ლ. ჭალაგანიძე.

---

# საღამოს დეპეშები

**ადესის სტუდენტებისაგან**: „ქართველი სტუდენტები საშუალებას მოკლებულნი იყვნენ დროზედ შეეერთებინათ თავიანთი მწუხარება მთელის ქართველობის მწუხარებასთან. განახლებულის ლიტერატურის მხცოვანის დამსახურებულის პოეტის სიკვდილმა აგვივსო გული განუსაღვრელის ნაღველით, რომლის განსაქარვებელადაც დაგვრჩენია-და „სამშობლო ხევსურისა“. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, დაუვიწყარო რაფიელ!“.

—

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 თებერვალი

**პეტერბურგი.** დიდი მთავრინა ოლღა ალექსანდრეს ასული — ხელმწიფე იმპერატორის და ხელმწიფე დედოფლის მარიამ ფეოდორის ძის ნებართვის, პრინცესის ევგენი მაქსიმილიანეს ასულის და პრინცის ალექსანდრე პეტრეს ძის ოლდენბურსკის თანხმობით დაინიშნა პრინც პეტრე ალექსანდრეს ძეს ოლდენბურგსკიზე.

უმაღლესის ნებართვით შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: გაუქმებულ იქმნას გაფრთხილებანი, რომელნიც „ნოვოე ვრემია“-ს გამოეცხადა 1879 წლის 6 იანვარს და 1880 წლის 2 დეკემბერს.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ ხანგრძლივისა და ცხარე კამათის შემდეგ მიიღო პროექტი ჯარის-კაცთა გამოწვევის შესახებ. კამათის დროს სამხედრო მინისტრი ამტკიცებდა, რომ ავსტრიის თვით-დაცვის სისტემის შემოკლება არას გზით არ შეიძლება და პირიქით საჭიროა ფლოტის გაძლიერება. ძლიერმა ფაქტორმა იდო თავს ცვლილებათა შესახებ კითხვათა განხილვა, მაგრამ ჯერ არაფერია გაკეთებული. ყველა იძენს დაუსრულებლად საომარ იარაღებს და ვისაც ჰსურს დაიცვას თავისი ინტერესები, უნდა უეჭველად შეიარაღდეს. მინისტრი ეხება მილიციის სისტემის ნაკლულევანებებს და უთითებს ინგლისზე, რომელიც, სამხრეთ-აფრიკაში მოპოვებულის გამოცდილების შემდეგ, ეხლა ცდილობს მუდმივი ჯარის გაძლიერებას, რათა შეტანილ იქმნას ჯარში ერთგვარი დისციპლინა. ჯარის-კაცთა სამსახურის ვადის შემოკლება ავსტრიაში შეუძლებელია და ჯარში უნდა წეს-რიგი ჰსუფევდეს. კრამარი საპასუხო სიტყვაში იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ჩეხები თანახმანი არიან გერმანიასთან კავშირის შეკვრისა, ისეთი კავშირისა, რომელიც დაიცავს საერთო მშვიდობიანობას, მაგრამ გერმანელების პარტიის მოთხოვნა — ავსტრია შეუერთდეს გერმანიის კავშირს — ავსტრიას ბავარიისა და საქსონიის მდგომარეობასთან გაათანაბრებდა (გაკვირვების ხმები). ჩეხების მიზანია, ავსტრია არ შეუერთდეს გერმანიის იმპერიას; ეს შეერთება დაამხობდა ავსტრიას, შესცვლიდა ევროპის საქმეებს და გარდააქცევდა გერმანიას მსოფლიო სახელმწიფოდ, შუაგულ ევროპის, ბალკანეთის ნახევარ კუნძულის და აზიის ბატონად. ზოგიერთმა ჩეხებმა შემდეგ დაიწყეს ლაპარაკი ჩეხურად, მაგრამ პრეზიდენტმა გააჩუმა. ხმების შეკრების დროს საშინელი ხმაურობა იყო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. კრანბორნი იტყობინება, რომ ინგლისის მთავრობა არ დასთანხმდა იმ ცვლილებებზე, რომელნიც ჰსურდა შეეტანა შეერთებულ შტატების სენატს გეისა და პაუნსეფოტის ხელშეკრულობაში, ამ კითხვის შესახებ მთავრობას მოლაპარაკება არა ჰქონია არც ერთ სახელმწიფოსთან. ბალფური აცხადებს, რომ ამ ჟამად მას არ შეუძლიან აცნობოს რამე ბოტასთან მომხდარ მოლაპარაკების შესახებ.

**ლონდონი.** საზღვაო ბიუჯეტი 1901—1902 წ.წ. ნაანგარიშევია 30,875,000 გირვანქა სტერლინგი, რაიც აღემატება 1900—1901 წლის ბიუჯეტს ორი მილიონით. ამ ორი მილიონიდან ნახევარზე მეტი დანიშნულია გემების აშენებისათვის. გამოანგარიშებულია 118,635 შეადგენდეს საზღვაო ძალას. შარშანდელზე 3,745 კაცით მეტს.

**ბერლინი.** ვალდერზეე პეკინიდან იტყობინება: „იმ ბრძოლაში, რომლის შესახებაც ცნობა გუშინ იყო გამოგზავნილი და რომელიც ანსულინის გასავლის დასავლეთით მოხდა, ჩვენის მხრით მსუბუქად დაიჭრა ერთი კაცი; ჩინელები გაიქცნენ, ბრძოლის ველზე დასტოვეს 250 კაცი მოკლული და ოთხი მსწრაფლ-მსროლელი ზარბაზანი, რომელთა აღების დროს სიმამაცე გამოიჩინა პორუჩიკმა გირლმა. ცხენოსანი ჯარი გამოეკიდა მტერსა და გააცილა ჩიტფუს. მეორე ბატალიონი მეოთხე პოლკისა დაბანაკებულია ფოუპინთანა და დიდი კედლის დასავლეთით, რათა ჩინეთის ჯარს მოუსპონ საშუალება უკან დაბრუნებისა“.

**კაპშტატი.** დღეს 12 კაცი გახდა ავად შავი ჭირით. ავადმყოფებში სამი ევროპიელია, ერთი მათგანი მოკვდა.

**მიუნხენი.** გერმანიის კრონ-პრინცი წავიდა ბერლინში.

---

პეტერბურგის ბირჟა 27 თებერვალს.

ვექსელის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,80 |
| ბერლინზე 100 მარკაში | 45,85 |
| პარიზზე 100 ფრანკში | 37,30 |
| ლონდონზე ჩეკები | 94,80 |
| ბერლინზე „ | 46,30 |
| პარიზზე „ | 37,60 |
| ბირჟის დისკონტი | $5^3/_4$,—$7^1/_4$% |

| | მყიდვ. | გამყ. | გაყიდ. |
|---|---|---|---|
| | მ | ა ნ ე | თ ი. |
| 4% სახელმწიფო რენტა | — | — | $96^1/_8$ |
| $4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ. | $99^7/_8$ | — | |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამ. ბანკისა | — | 96 | — |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | — | — | 339 |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | — | — | 289 |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | — | — | 219 |
| $3^1/_2$% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა | — | — | 89 |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ | — | $93^1/_2$ | — |
| $4^1/_2$% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა | $87^1/_2$ | — | — |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ | — | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | 93 | — | — |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — | $93^1/_2$ | — |
| $4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | — | — | — |

რედაქტორი ალ. ჭყონია. გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

---

## გამოსადევი ცნობანი

**მიმოსვლა რკინის-გზის მატარებლებ**[...]

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის [...] ფრჩხილებში კი — ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან [...]ქოში გადის კვირაში ერთხელ — ოთხშაბათ[...] დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), [...] ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფ[...]სში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 [...] ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. [...] ს. 10 წ

სამოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან [...]ლისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. [...] წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 [...] 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმ[...]დის საღამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 [...] ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8[...]

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან [...]ლისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. ([...] 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 2[...] (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათ[...] გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბა[...]ში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9[...]

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმ[...] ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 [...] 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 4[...] (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქ[...] გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 [...] ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 2[...]

სამოსტო მატარებელი № 4 ბათუმ[...] (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 1[...] 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქ[...] გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 [...] ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

---


# განცხადებანი

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგად[...] სადგომში

## იყიდება ხეხილი:

ვაშლი, მსხალი, ალუბალი, ნიგოზი და [...]მი საუკეთესო ჯიშისა. (3—

## ტფილისის ქალაქის გამგეობ[...]

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრ[...] 1901 წელს 3 მარტს, დილის 1 საა[...] დანიშნულია ვაჭრობა, რომლით იჯ[...] გაიცემა ბეტონით წყლის მილით გაკე[...] არსებულიდან ამაღლების ქუჩაზე მ[...] შესახვევზე არუცევის სახლამდე სიგრძით [...] საჟენი 1110 მანეთის.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ვა[...]ბაში, შეუძლიან ვაჭრობის პირობები [...]ტყოს ქალაქის გამგეობის აღმშენებლ[...] ყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქ[...] გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღე[...] 3 საათამდე. (ნ. 3—